1.759

ი. შაიშმელაშვილი



# ლექსები

პლატონ მიროტაძის წინასიტყვაობით და რედაქციით

წითელ-არმიელ მწერალთა ბიბლიოთეკა № 1

საქ. საბჭოთა მწერალთა კავშირის თავდაცვითი
ლიტსექციის გამოცემა

ტფილისი—1935 წ.

იგ. ზაიშმელაშვილი

# ლექსები

პლატონ მიროტაძის წინასიტყვაობით და რედაქციით

წითელ-არმიელ მწერალთა ბიბლიოთეკა № 1.
საქ. საბჭოთა მწერალთა კავშირის თავდაცვითი ლიტსექციის გამოცემა

ტფილისი—1935 წ.

894-631-1

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამზ. „წ.-არმიელი“-ს სტამბა. მთავ. № 7141. შეკ. № 104. ტირ. 2000

# წინასიტყვაობა

ამხ. ივ. შაიშმელაშვილის შემოქმედება პირველათ იბეჭდება ცალკე წიგნათ. ის ეკუთვნის იმ ახალგაზრდულ თაობას, რომლებიც მოვიდნენ წითელ არმიაში, იქ დარჩნენ მეთაურის საპასუხისმგებლო სამუშაობზე და პირველათ წითელი არმიის რიგებში გაშალეს თავისი შემოქმედებითი ნიჭი. და მეთაურის დიდ დატვირთვასა და მუშაობასთან ერთათ არ ტოვებენ კალამს, ანვითარებენ თავის შემოქმედებას ამ დარგშიდაც და მხატვრულათ გადმოგვცემენ წითელი არმიის თანამედროვე ცხოვრებასა და სწავლებას.

შაიშმელაშვილი მუშის შვილია, რომელმაც გაიარა მეფის დროინდელი კაპიტალისტური ექსპლოატაციის სიდუხჭირე და ამ სილატაკეში თავისი შვილი შკოლის გარეშე მაინც არ დატოვა.

საბჭოთა ხელისუფლება ეხმარება მას ამ სურვილში და ივ. შაიშმელაშვილი ღებულობს საშუალო განათლებას.

1927 წელში ის თავისი სურვილით მიდის სამხედრო სასწავლებელში, ათავებს მას და ეხლა მუშაობს ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე.

სამხედრო სკოლაში დაიბეჭდა შაიშმელაშვილის 1-ლი ლექსი 1929 წელს. სამხედრო სკოლაში შედის ის კომკავშირში და შემდეგ ნაწილში პარტიის კანდიდატათ. შაიშმელაშვილი დაჟინებით მუშაობს ლიტერატურაზე და მიუხედავათ მთელი რიგი სიძნელეებისა აუმჯობესებს თავის შემოქმედებას და სისტემატიურად მონაწილეობს გაზეთებში და განსაკუთრებით გაზ. „წითელარმიელში".

ივ. შაიშმელაშვილის მრავალი ლექსებიდან ჩვენ ამ წიგნში ვათავსებთ, მისი შემოქმედების დამახასიათებელ ნაწილს.

შაიშმელაშვილის შემოქმედება მისი ცხოვრება და მუშაობა ეს წითელი არმიაა—ეს ქვეყნის თავდაცვის საკითხებია და მისი შემოქმედებაც უმთავრესათ ამ თემატიკას ეხება.

დილით ადრე იწყება წითელი მებრძოლის ცხოვრება. მეორე დღის მუშაობა ბევრითაა დამოკიდებული იმასთან თუ როგორ დაისვენებს წითელარმიელი და რ ნაირი ფიზ კური და ენთუზიაზმით დამუხტვილი უდგება ახალ სამუშაო დღეს. ასეთი პირობები კი შექმნილია, როგორც საზამთრო ბინებში ისე ბანაკათ. დილის ფიზ დაჭურვა გეგმების გაცნობა, ლოზუნგები და სხვა, წითელ მებრძოლს ამზადებს ყოველნაირათ ახალი დღის შესახვედრათ.

მეთაურმა—პოეტმა კარგათ იცის ეს. მასში შესისხლხორცებულია ეს დიდი ამოცანები და ის გატაცებით ამბობს.

„დაუკრეს ბუკი, აუწყეს
ბნელ ღამის დამორჩილება
ახლა ტყვიათა წივილი
მთებს ტანში ცივათ ესობა
ყველას დამკვრელის გული აქვს
ყველას სურს უკეთესობა".

ან კიდევ

„ყოველმა კუნთმა იგრძნო დილა. და
ახალ საბრძოლო დღის განათება".

პირველი, რაც ხვდება მებრძოლს ეს ფიზდაჭურვა და ფიზქალაქის გადალახვაა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ორგანიზმის მოს. მზადებლათ საბრძოლო ამოცანების დაუფლებისათვის; აქვ.ა ლოზუნგე.ი, რომელიც მებოძოლს აგონებენ მის ამოცანებს და სხვა.

აი როგორი შთაბეჭდილებით რჩება მებრძოლი.

„გადალახული დგას ფიზქალაქი
ისევ საყვირის ძახილზე, როცა—
თითქოს ამ წუთში
მტერს უნდა დავხვდეთ,
მკერდს და მკვრივ კუნთებს
საჭურვლით ვმოსავთ".

ენერგიის სრული დაჭიმულობით უხდება მებრძოლს დასახული საბრძოლო პოლიტმომზადების ამოცანების საუკეთესოდ დაუფლება: აქ გაშლილია ბრძოლა ყოველი მებრძოლის; პარტკომკავ-

შირის ორგანიზაციის; მეთაურის;—ერთი სიტყვით ყველაფერი მიმართულია საბრძოლო პოლიტიკური მომზადების კონკრეტიული მაჩვენებლების დაუფლებისათვის ბრძოლაში. ამისათვის მუშაობს ლენსახლი; „ილიჩოვკა“; კომკავშირის ორგანიზაცია; აქეთკენაა მიმართული სოც-შეჯიბრი და დამკვრელობა;—ჩამორჩენის გამოსწორებას ემსახურება დამკვრელი ათდღიურიც და სხვა.

ყოველივე ეს ამხ. შაიშმელაშვილს მოცემული აქვს კონკრეტულ მხატვრულ ფორმებში.

„აი მოვდივარ შენთან ლენსახლო,
დღით გასულს, შენსკენ მოიწევს გული,
ხვალისთვის ძალას ვპოვებ შენს ახლო“.

ამ მოკლე ლექსში ამხ. შაიშმელაშვილი გვაძლევს ლენ-სახლის ამოცანას და მის მნიშვნელობას.

ან და კონკრეტიული ჩვენება ილიჩოვკის მუშაობისა და მის მიერ წით. არმიელი ქაზიშვილის, როგორც ამოცანის საუკეთესოდ შემსრულებლის ჩვენება.

გათავდა სროლა...
ილიჩოვკებმა უკვე მოჰფინეს
ამბავი ველებს...
ჩვენი რიგები მრავლად იძლევა
საუკეთესო მარჯვე მსროლელებს.

ან და სოცშეჯიბრი პირველობისათვის ბრძოლა რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს:

„პირველთა შორის
პირველობის ბრძოლის ხალისი,
კარვიდან კარავს შეჯიბრებით
მიდევს კვალდაკვალ“.

ამხ. შაიშმელაშვილი თავისი ლექსით ურტყამს ჩამორჩენილ კომკავშირელსაც.

„რა იქნა შენში
კომკავშირელის გამძლე სახელი
და ენერგია?“

კითხვა, რომელიც უნდა დაუყენოს თავის თავს ყოველმა პარ-

ტიულმა და კომკავშირელმა ჩამორჩენის დროს. და მან მისცეს ფიცი თავის ორგანიზაციას აქვე მოყვანილი პოეტის სიტყვებითვე:

„ჩემში აღდგება კომკავშირული
თავგანწირვა და
თავგამეტება!“

არის შემთხვევები; როცა მთელი ეს ბრძოლა ყველა ეს ფორმები საკმარისი აღარ არის, დრო მეტად ცოტაა და ამოცანები ბევრი; ამ დროს საჭირო ხდება მთელი ძალღონის მობილიზაცია და მისი რაციონალური გამოყენება განსაზღვრულ დროში, ასე წარმოიშობიან ხანდახან დამკვრელი ათდღიურები.

„ბანაკს ურბენს განგაშივით
ათ დღიურის ხმა და
დამკვრელურ თავდადებით
ვზრდით ნაბიჯებს ხარბად“.

ან და კიდევ:

„უნდა ტემპი აფრიალდეს
ათდღიურის დროშად.
გამარჯვება ბრძოლას მოაქვს,
იგი ახლოს მოჩანს...

ამხანაგი ᲨᲐᲘᲨᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ თავის შემოქმედებას არ ფარგლავს მარტო ზემოთ აღნიშნული თემატიკით. ის ხარბათ ეცნობა ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის ეპოპეიას. ის თავისი ინიციატივით დადის ექსკურსიებზე და მრავალ ადგილებს ათვალიერებს, რაც მასში, როგორც მეთაურში—და პოეტში ახალ ენტუზიაზმს იწვევს საბრძოლო მომზადების კიდევ მეტი მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში.

„ახლა ბანაკში
მოგაქვს ეს გული
ძალღონით სავსე
სავსე ხალისით
რომ მშენებელი
ქვეყნის ერთგული
იყო მებრძოლიც
მაღალ ხარისხის“.

ან კიდევ ლექსში მიძღვნილ გრძელ ვადიან შვებულებაში წასულ წითელარმიელებს:

„ტემპათ უნდა შეიჭრა
მშენებელთ რაზმებში.
შრომა დროშათ გეკავოს
ბრძოლა არა გღალავდეს“.

ამ დიდი სოციალისტური გარდაქმნის და მოზღვავებული მასსების სურათით ის იმდენათ გატაცებულია, რომ მოხუციც კი ახალგაზრდათ გამოიყურება.

„აი რამ გაახარა
ზამთარივით ჭაღარა
. . . . . . . . .
. . . . . . . . .
მშრომელები ზეიმში
რაზმებათ რომ ჩამდგარან
იგიც წელში გაშლილი
იქით მიეჩქარება“.

ასეთია მოკლეთ დამწყები პოეტის ამხ. შაიშმელაშვილის შემოქმედება მას დიდი მომავლობა აქვს, როგორც მეთაურს. ეს მომავლობა ორკეცდება, როცა მეთაური მხატვრულ შემოქმედებას ჰკიდებს ხელს. შაიშმელაშვილს ენერგია დიდი აქვს—უტყუარია, რომ მხატვრული შემოქმედების სურვილი მასში ღრმათაა გამჯდარი.

შაიშმელაშვილს ჯერ კიდევ ესაჭიროება მეტი მუშაობა და შემოქმედებითი ენერგიის გაორკეცება—სტილის—ენის—და მხატვრული სიტყვის ოსტატობის მწვერვალების დაუფლებისათვის.

შაიშმელაშვილი 1-ლი მეთაურია, რომელიც გამოიცა. ეს მაგალითი მისაბაძის ღირსია. მომავალიც წინ გვაქვს.

პ. მიროტაძე

ი. შაიშმელაშვილი

# ლექსები

1935 წ.

# ღამე ბანაკში

ყორნის ფრთებივით გაშლილი
ჩრდილი ჩრდილს მისდევს სერი-სერ,
სიო საბრალოდ სიხინებს
სხეულგამთბარი ჯერ ისევ.
დაწვება ღამე და ხვრინავს
ქარის ქვიანზე დაცემით,
ხეები ჩანან კარვებთან
როგორც ნამდვილი კაცები.
კარვები კრთიან კიდითი —
კიდემდე ველზე გაშლილი,
მთვარე წევს ცაზე, ღრუბელში
გამოხვეულა ბავშვივით.
გახედავ: მკრთალად მოჩანან
გაღმით შავშავი გორები —
ქარი დაჰქროლებს ქორივით
და დაბლა ჩამოგორდება.
შეხვდება „ხაზზე“ დღიურს და
კარავშიც შედის თამამად,
კარებს დახურავს კარავი
და გრიგალს შიგნით დამალავს.
სძინავს გულგმირ და უშიშარ
ფრუნზელთა მრავალ ასეულს,
რომ ხვალის ძალა კვლავ ჰპოვონ
ახლა მშვიდ ღამეს ათევენ.
კრთიან კარვები კრძალვით და
კიდით - კიდემდე გაშლილი,
ხევს შემორტყმიან ბნელში ვით
შავ ნაჭერს თეთრი არშია.
გული გუგუნებს გამძლე და
ხრამში ძვრებიან ჩრდილები —

დაუკრეს ბუკი, აუწყეს
ბნელ ღამის დამორჩილება.
ახლა ტყვიათა წივილი
მთებს ტანში ცივად ესობა,
ყველას დამკვრელის გული აქვს!
ყველას სურს უკეთესობა.

## გათენებისას

თენდება... თრთიან
ფრთხილად კარვები —
ღამე ნათევი,
ხიოს სისინით,
მთებიდან ცაში
შადრევანივით
ამოდის შუქი
წმინდა სისხლივით.

— : —

მისდევენ ხევებს
ღამის ჩრდილები,
კარავშიც შედის
დილა ნათელი —
თითქოს ვარჯიშობს
კარვის სხეულიც
დანამული და
ღამე ნათევი.

— : —

ცეცხლიოა — ასე
კივის საყვირი...
ტყვიამფრქვევია
თითქოს კარავი:

ისვრის მებრძოლებს,
ისვრის ხაზზე და
სატუჩარივით
უჩანს კარები.

— : —

არამც თუ მიწამ
იგრძნო სიცოცხლე —
სივრცეს დაეტყო
გაჯანმრთელება,
ყოველმა კუნთმა
იგრძნო დილა და
ახალ საბრძოლო
დღის განათება.

— : —

გადალახული
დგას ფიზქალაქი
ისევ საყვირის
ძახილზე, როცა —
თითქოს ამ წუთში
მტერს უნდა დავხვდეთ,
მკერდს და მკვრივ კუნთებს
საჭურველით ვმოსავთ.

# ლენსახლთან

მზე ნელა ჩადის
მხურვალე ციდან,
აი, მოვდივარ
შენთან, ლენსახლო,
დღით გასულს, შენსკენ
მიიწევს გული
ხვალისთვის ძალას
ვპოებ შენს ახლო.

ავიღებ ხელში
ახალ გაზეთებს
და სიტყვებს ვიჭერ
მასში მხედარი,
ამ დღეს ვამთავრებ
ახლის შეძენით
სახვალიოდაც
გული მხნედ არის.

და რომ ვკითხულობ
ახალ გაზეთებს
აქ ვკითხავ თავს და
აქვე ვგებულობ —
სწავლებას ველად
ტემპი რად უნდა,
მძლავრ იერიშით
მთებს რად ვლებულობთ

ნამიან სერებს
გადავთელ, დილით
იქაც კუნთებში
მომდევ ლენსახლო,
აქ სასროლეთზე
ვიბრძვი გმირულად
სალამოს ისევ
მოვალ შენს ახლო.

# ა თ ი ა ნ ი

„ამხ. ყაზიშვილმა
1-ლი ამოცანა შაშხანიდან
29 ქულით შეასრულა".

გათავდა სროლა... ილიჩოვკებმა
უკვე მოჰფინეს ამბავი ველებს...
ჩვენი რიგები მრავლად იძლევა
საუკეთესო, მარჯვე მსროლელებს.
აძგერდა ყველა მებრძოლის გული
და გადახედეს თავის შაშხანას.
— ვაჯობებთ. — უხმოდ ისმის სურვილი.
საუკეთესო მსროლელ ამხანაგს;
ყაზიშვილო, ჩვენი შეჯიბრი
გადაწყვეტილი გგონია იქნებ?
საცაა ვიხვრიტდა ამ ერთ „ცხრიანს"!
ათიანს თვალში გავარტყამ იქვე.
აი გავიდა, ბოლოს, და რადგან
ვაზნის სიმცირემ არ მისცა ნება,
ორი ისროლა და შუაგულში
გამოანათეს ათიანებმა.
— თუ ვერ გაჯობე, ხომ არ ჩამოგრჩი
ყაზიაშვილო! ორივ ათიანს
არ დავაცილე... და ორივ გულში
გამარჯვებულის ცეცხლი ანთია.

# საღამო სნაიპერთა ბანაკში

აქ ბუჩქნარია
და ბუჩქნარში სხედან კარვები,
სნაიპერული
თავგანწირვით
გრიგალს ხვდებიან,
საღამოს;
როცა მზე ბალს სწყდება
კარვები მაინც
სახროლეთისკენ მზვერავივით
იხედებიან.

— : —

— აქ სნაიპერის ნებისყოფა
დგას წინა ხაზზე.
აქ მზის მაგვარი ვარსკვლავები
ყველგან ანთია —
მობილიზებულ ენერგიით
და ნებისყოფით
დილას იტყვიან რადიოთი ისევ
„ათიანს“.
პირველთა შორის
პირველობის ბრძოლის ხალისი
კარავიდან კარავს შეჯიბრებით
მისდევს კვალდაკვალ.
ყოველი დილა
და საღამო
ახლ მწვერვალთა;
დაპყრობილია,
შეტევაა,
ცეცხლი და დაკვრა.

— : —

აქ ბუჩქნარია
და ბუჩქნარში სხედან კარვები
სნაიპერული
თავგანწირვით
გრიგალს ხვდებიან —
საღამოს, როცა მზე მათ სწყდება,
კარვები მაინც
სასროლეთისკენ
მზვერავივით იხედებიან.

ჩ 1.759 / 1

## მიიღეთ ფიცი...

არ ვიცი რატომ:
შენ ანგარიშს აღარ უწევდი,
რომ დღეს კრებაზე
პასუხს მოგთხოვდა
ჩვენი უჯრედი!

— : —

რომ მუდამ ახალი
დღისწესრიგია:
საბრძოლო სწავლის ტემპი გაშლილი
და ამ სწავლაში
წამყვანი არის
ჩვენი პარტია
და კომკავშირი!

— : —

შენ კი დაკარგე სწავლის უნარი,
რამოდენიმე
სუსტიც გრგებია —
რა იქნა შენში
კომკავშირელის გამძლე სახელი
და ენერგია?

— : —

მთელი უჯერედი
ზარივით რეკავს:
კომკავშირელო
გესმის განგაში?!
უჯრედი, ხედავ!
პასუხს მოითხოვს
და შენც ნამდვილად
მიხცემ ანგარიშს:

— : —

სად არის ციხე,
სიმაგრე, რომლის
ჩვენ არ შეგვეძლოს ბრძოლით აღება —
მაშასადამე:
სწავლაში მებრძოლ
ტემპის დაშვებამ
შეჰქმნა გარღვევა!

— : —

მიიღეთ ფიცი:
რომ გავწევ ისევ:
ამ დაუღეგარ ბრძოლის ტემპებით
ჩემში აღდგება კომკავშირული
თავ-განწირვა და
თავ გამეტება!

# I-ლი ლაშქრობა

მწყობრი ლარივით ველებს გაეკრა,
რაზმის მსვლელობა იგრძნო ქუჩებმა.
წუხელ ყინავდა მიწას და ჭვხლა —
ჩვენ არც ყინული გადაგვირჩება!
ათმეთაური
ჯგუფში ჩადგა მწვანე რვეულით
და ამოცანას ითვისებდა
ახალ წვეული.
ამხედრებული
ნიჭიერი გმირის თვალებით:
ლაშქრობა —
დაცვის ზომებით და საშუალებით,
თვალყური ცაზე გამოჩენილ
„მტრის" თვით მფრინავებს
ცეცხლი ძლიერი!
და მათგანში
ყველა ინანებს!
თვითეულ მებრძოლს უნდა ქონდეს
ცნობა ყოველის,
მტრის მოქმედების და საერთოდ რასაც მოელის
არც ერთი ვისაც ამოცანა
არ გაეგება!
გაურკვევლობით დამარცხება
მოელის გეგმას!
უნდა იცოდე რა მიზანი დაკვისახია,
და შესრულების მიზნით მხოლოდ შემდეგ წახვიდე.
„არტილერიის ცეცხლ მოდებული"
ველის საშიში ფეხქვეშ აგდია!
არ იმოქმედებ? არ გაიშლები?
დამარცხებული წახვალ-ნალდია!
მტერს „მოუწამლავს" სალი ჰაერი

და ორგანიზმიც „ზიანს“ მოელის!
ბუკის ხმა მებრძოლთა, სხეულს დაუვლის
და ჰაერწინალს იცმევს ყოველი!
განვლეთ... და ცაზე კიდევ მოფრინავს
გატაცებული ალბად ძიებით?!
ჩრდილში შევცვივდით და შეხამებას
ყველა შეუდგა გაფაციცებით!
შეცდომა მუდამ სდევს ნამოქმედარს.
მაგრამ თუ მტკიცე პირობას დავდებთ,
უნდა ახსოვდეს თვითეულ მხედარს,
რომ მას დავიყვანთ მინიმუმამდე!!!

# დამკვრელი ათდღიური

უნდა ტემპი აღიმართოს
ათდღიურის დროშად,
გამარჯვება შორს როდია —
იგი ახლოს მოჩანს.

ის არ მოვა თავისთავად
ოდნავადაც ახლოს,
თუ დროშად არ აღიმართა
ტემპით შრომა ახლავ.

ბანაკს ურბენს განგაშივით,
ათდღიურის ხმა და
დამკვრელური თავდადებით
ვზრდით ნაბიჯებს ხარბად.

უნდა ტემპი გვექნეს დროშად.
გამარჯვება — მიზნად
და გარღვევა ან სხვა საფრთხე
ველარაფერს გვიზამს.

დამკვრელია ეს ათი დღე
ბრძოლის დროშა მაღლა!
ფრუნზელ მებრძოლს არ ჩვევია
სწავლებაში დაღლა.

კუნთში ჩადგეს ენერგია,
ბოლშევიკის ნება,
არ დაიშვას დროშის დახრა.
წინსვლის შენელება!

უნდა ტემპი აფრიალდეს
ათდღიურის დროშად
გამარჯვება ბრძოლას მოაქვს,
იგი ახლოს მოჩანს..

# საგუშაგოზე

— ღამე მოვარდა ქარიშხალივით
და საგუშაგოს ბნელი მოჰფინა.
აგერ გუშაგი — ბასრი ხმალივით!
ჩანს მებრძოლები აქაც ყოფილან
— ახლა ლანდივით რას დაფარფატებ
შავი განზრახვა თუ გულით დაგაქვს
იქნებ გუშაგი გგონია მარტო?
აქ ძალა არის და იგი დაგკრავს.
— მოგორაობენ ხრამში ტალღები
ლიახვი მორბის და მთებს აღვიძებს,
რომ მთანიც დახვდენ თუ კი ძაღლების
ბნელ გონებაში შური აღიძრეს.
— სადღაც ხმაურმა გული შეძრა და
აგერ ვიღაცა მოდის ქურდივით,
ვაზნა ხრიალით ლულში შეძვრა და
გამეხებული ახლა უკივის:
— „სდექ“!!!
— კლდეებს გაუჯდა მისი ბრძანება.
ვაზნას და გუშაგს ერთად ორივეს
ლანდმა სიფრთხილის ნიშნად აცნობა:
— „მე ვარ“!
— „სდექ“.
— მე ვარ. გესმის! მორიგე!..
— განაგრძო ისევ სივრცის გაჩხრეკა
და წივილათი აცნობა უფროსს
„გამოდი“.. უცებ ისიც გაჩნდება,
რომ საგუშაგოც განმტკიცდეს უფრო.
— გამრინებელი გაჩნდა მეხურ,
შეხვდა მოსულს და პატაკი მისცა
„წესრიგი არის“. და რაც ეხება
მას საკუთარი თვალივით იცავს.
— ღამე მოვარდა ქარიშხალივით
და საგუშაგოს ბნელი მოჰფინა
დგას კვლავ გუშაგი ბასრი ხმალივით!
სჩანს მებრძოლები აქაც ყოფილან.

# მ ა შ ი ნ

"....ყველაზე უფრო მტკივნეულად
გადაიტანა რეორგანიზაციული
პერიოდი მეცხოველეობის დარგმა"...
(სტალინი, მე-17 ყრილობაზე).

მოხვედი, მოგყვა სახე
და თვალი ცეცხლზე ცხარი
ბალში დატოვე სახლი
და იალაღზე ცხვარი...
გიკვირდა თოფის ნახვა
და საუბარი ხშირი
იგრძნე რომ გახდი ახლა
საბჭოთა ქვეყნის შვილი...
დღეს ამეტყველდი, მსჯელობ
გარკვეულად და ნათლად
გიყვარს, ითვისებ, სწავლობ
დიდი ბელადის ნათქვამს.
თვალწინ გიდგება სარკე
როცა კოლექტივს ქმნიდენ
ხოცავდენ ხარებს სადმე
ან საიდუმლოდ ჰყიდდენ.
კულაკურ ჭორის რწმენას
ან წვრილ ბურჟუას სახეს —
ვერ გრძნობდი ან და ენა
არ სცნობდა ასეთ სახელს.
დღეს იგრძენ გულით მაშინ
იმგვარი ჭორის რწმენით
როგორ შემუსრეთ მთაში
ცხვარი, ძროხა და ცხენი.
მოვედი, მომყვა სახე
და თვალი ცეცხლზე ცხარე
წავალ და როგორც ჩემს თავს
ვწყემსავ არტელის ხარებს...

# მოხუცი

რატომ მომჩერებიხარ,
აღტაცებით მოცული...
შენ ხომ მამაჩემი ხარ,
ზამთარივით ჭაღარა...
მთაში მწყემსად ნაზარდი.
ახლა ჩემთან მოსული
ასე, რატომ აზლვავდი
მითხარ რამ გაგახარა.
რატომ არ ეყუდები,
წვერ მოცვეთილ ყავარჯენს.
თვალშიც აღარ ტყვილდები,
ისევ გაგნათებია...
შენ, რომ გადაივლიდი,
სოფლებს ჩუმად სამასჯერ
შეხე ეხლა სუყველა
დიდი ქალაქებია.
მითხარ, რამ გაგახარა
ზამთარივით. ჭაღარავ?
ხეები, რომ დამხმარან
შემოდგომის ქარებით,
ბავშნი, კაცნი, ქალები
რაზმებად, რომ დამდგარან
და შუქმფენი თვალვბით
წინ რომ მიეჩქარებათ?
მერე შენი მოხრილი
წელით ვის მოეწევი!
ტყავის ქუდი ქოხივით
თავს რომ დაგფარებია—.
ეს, მასების ტალღები
და ქუჩების მეწყერი
გაგიტანს, თუ გაჰყვები

ასე თუ გყვარებია!
— „ო, ტყვილად ნუ შეკრთები
ვფიცავ შვილის სიყვარულს:
მეც მათ შეუერთდები,
მეც ამ მასის წრისა ვარ!
ო, რამდენი ხანია
ვიცნობ მხოლოდ სიხარულს,
შევიცვალე ძალიან
მე ჩვიდმეტის წლისა ვარ“...
აი რამ გაახარა
ზამთარივით ქალარა,
ხეები, რომ გამხმარან
შემოდგომის ქარებით;
მშრომელები ზეიმში
რაზმებად, რომ ჩამდგარან...
იგიც წელში გაშლილი
თქით მიეჩქარება.

F 3.1940

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მატარებლით ზაჰესამდე

ვისახავთ მიზნებს,
ვისახავთ და ვქმნით.
სოციალისტურ
მინდვრებს და ქარხნებს,
რომ ჩვენი მკერდი
შრომის დიდ ქვეყნის
ვერავ მტრის დარტყმას
კლდესავით დახვდეს.
მოჰქრიხარ ქარის
ფრთებით ბანაკში,
სადაც ისწავლი
ამ მხარის დაცვას,
ბრძოლის ტექნიკით,
სროლას და ტანკით
მტრებზე შეტევის
ტაქტიკას და სხვა-
ველთა შემძრავი
სიმღერა შრომის
მგზავრო ისმინე,
ისმინე დასტკბი,
ბორბალთა წყება.
მღერს სხვათა შორის
ეს გიგანტია —
ქარხანა კასპის.
მატარებელმა
მოხაზა წრე და
ელნათურები
სხივებს გვესვრიან.
ისევ გუგუნებს
ბორბალთა წყება —
ეს ზაჰესია,

ეს ზაჰესია,
გამარჯვებათა
სიამე გიტანს,
ჯვარს მთის წვერიაზე
თვალი არ ძებნის,
სამაგიეროდ უცქერი ტიტანს
დიდი ლენინის
ბრინჯაოს ძეგლს.
ქარს ჰკუა შეშლილის
მიაქვს ზათქი და
ხიდს ეკვეთება
თავგანწირულად.
გუშაგიც ნაზე
დგას აქ, ამ ხიდთან,
მიხივე ჩრდილიც
ღრმად ჩაძირულა.
ახლა ბანაკში
მიგაქვს ეგ გული,
ძალღონით სავსე,
სავსე ხალისით,
რომ მშენებელი
ქვეყნის ერთგული
თუ მებრძოლიც
მალე ხარისხის,
აი შეჩერდა
ორთქლმავალი და
მწყობრად გაკვალულ
ყამირებს მისდევს,
ათმეთაური
ლომსონის: წვალებამ
რას დავისახავთ
ხაზრძალული მის აქ.

# ლაშქრული

— მაშინ
სივრცეებს
სერავდა ტყვია
და მავთულხლართებს
ხევდა ყუმბარა!..
სოფლებს,
ქალაქებს,
ველებს და ტყიანს
ეფინებოდა
მტერთა მუქარა...
— ქარიშხალივით
ირგვლივ დაჰქროდა
დამარცხებული
მტერი თავხედი —
ნახევრად შიშვლებს
გულში დაგვქონდა
ს ოციალისტურ
სამშობლოს ბედი...
— ჩავიდენ
ბნელში — ბნელი ზრახვებით
და
დღის სინათლეს მოსცილდენ მარად!
გამარჯვებული
ქვეყნის ხალხები
საკუთარ ქვეყნის
საზღვარზე ვდგავართ!
— სდუღს
მშრომელების ბედის სიამე
და ამ სიამეს
არვის ვანებებთ
არხანგელსკიდან
კავკასიამდე
ოკეანიდან ოკეანემდე.
— დაე, იკვებონ გული იმედით
ჩვენს სიძლიერეს მტერი ვერ დახრის:
„ხელები იქით"!!!
შქუხს ყოველ კუთხით
და ყველა ქვეყნის მშრომელთ ეძახის.

# მშენებლობისაკენ

—დღენი მიილევიან-სწავლებაში გართული.
გული უძლეველია და ხალისით ენთება.
ჩემი სულისკვეთება სწორი გზით წარმართული
ყოველგვარ განსაცდელში მხარის მტრებს ეკვეთება
—პროლეტარულ სამშობლოს გული დაუდარაჯებს,
რომ ხიფათი აშორდეს ახალ ქვეყნის შენებას—
ნეტავ რას ვერ შეებას და ან რას ვერ აჯობებს
ჩემი ბრძოლად მზადყოფნა კლასიური შეგნება.
—ახლა მივალ სოფელში, იგიც განახლებული
ძველი უარმყოფელი მანქანებით მგრგვინავი,
ისე ვით თვითმფრინავი წინ, რომ მიეჩქარება
მეც მას შეუერთდები, ერთ ერთი მოწინავე..
—სოფელს კიდევ აწუხებს ბევრი თავ-აშვებული:
კლასი დამარცხებული სისხლის წვეთსაც არ ზოგავს
მტრობა მოეაზრება, მაგრამ განა შვებულის
კლასობრივი სიფხიზლე ამ საფრთხეს ვერ გაზომავს.
—ტემპად უნდა შეიჭრა მშენებელთა რაზმებში.
შრომა დროშად გეკავოს ბრძოლა არა გლალავდეს—
და განგაშსა სტეხავდე თუ მშრომელთა საქმეში
შენიშნოს საფრთხე და საქმისადმი ღალატი.

# შ ე ნ დ ა მ ი

## (სტალინელს)

ვის ერეოდი ქარიშხალივით
ბასრი ხმალივით ვის გულს გლეჯავდი,
ვის ნთქავდი ასე საშიშ შხამივით
გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.
ან რა ხმალია თეთრი ფურცელი
რაშია მისი კუნთი, ან ღონე,
რომ შემოიქნევ დაჰკრავ და უცებ
გამარჯვებული გამოხვალ ხოლმე:
ვის გულს ზარავდი, როგორც ხანჯალი
ვისთან მიგქონდა ნება პარტიის,
ან ვის სტაცებდი მარწუხს მაჯაში
ვის სიყვარულით, ვისი პატივით.
მშრომელთ ადექი ფხიზელ გუშაგად
მისთვის გრგვინავდი, მათ სდარაჯობდი
სთქვან, თუ კი შესძლონ, გამცემთ მუშათა
და მხარის, რომელ მტრებს ვერ აჯობე . .
რა არ შეგხვდება მშენებლობაში
რამდენ მავნეს და მტარვალს გვაჩვენებ,
რომ არვინ დახვდეს შენებას გზაში,
რომ გაქანება არსად გაჩერდეს:
კვლავ ჩაეწვეთე სისხლში მტარვალებს,
რომ გაქანებას წინ არვინ დახვდეს
კალამი გულში დაჰკარ ტარამდე
არ უღალატო ბელადის სახელს:...

# 7 ნოემბერი

—ახლა დილამ, ნათელ დილამ შემოაღო კარი
კარში ქარი გუგუნებდა შემოდგომის ქარი
მოვიდა და ხიზმარივით ჩამჩურჩულა მშვიდათ:
„ხედავ, დარი მოიტანა ნოემბრის შვიდმა".
—მართლა ისე იცინოდა შემოდგომის დარი,
როგორც ეს მზე მოკაშკაშე მთაზე გადმომდგარი
ქარი ცაში წითელ დროშებს იალქნებად შლიდა
ცაც და მიწაც შეაშფოთა ნოემბრის შვიდმა.
—ქუჩებს ტალღა აწვებოდა მშრომელების ზღვისა
ყველას ლხენა ამკობდა და ბრწყინვალება მზისა
გაველ გარეთ ახლა მკვდარიც ვერ გასძლებდა შინ და
მეც ამანთო იმ მზესავით ნოემბრის შვიდმა.
—სად და ან რით მოიპოვეთ ამ ზეიმის ნება?
ასე ვკითხე ამ მქუხარე მასის მღელვარებას
მითხრეს: „აგერ ის, რაც თქვენ გსურთ
დროშებად გაშლილი: კომპარტია, ლენინი და
სოსო ჯუღაშვილი"!

ფასი 50 კაპ.